აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 36

09 დეკემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ შარმანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე და კომისიის წევრი ლევან გაბრიჩიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

(მომხ. ქ. ჯიქია)

1. **განკარგულება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა ქეთევან ჯიქიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭდვის პროცესზე დამკვირვებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე დაკვირვების უფლება აქვთ უსკო-ს განკარგულებით დანიშნულ კომისიის ორ წევრსა და უსკო-ს მიერ რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც შეთანხმების საფუძველზე ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე წარმოადგენენ არა უმეტეს სამ დამკვირვებელს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უსკო-ს მიერ ინფორმირებული იქნა უსკო-ს მიერ 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისას რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაციები ბიულეტენის ბეჭდვის პროცესზე დაკვირვებასთან დაკავშირებით, მაგრამ მიუხედავად, ამისა მათ არ გამოთქვეს სურვილი ბიულეტენის ბეჭდვის პროცესის დაკვირვებაზე. ასევე აღნიშნა, რომ კომისიის წევრების მხრიდან ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე დაკვირვების სურვილი გამოთქვეს კომისიის წევრებმა ასლან ჩავლეიშვილმა და ლევან გაბრიჩიძემ.

.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენების დაბეჭვდის პროცესზე შეიქმნას დამკვირვებელთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ასლან ჩავლეიშვილი;
ბ) ლევან გაბრიჩიძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი თ. შარმანაშვილი

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია